ძალა ერთობაშია

# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/22 „24" მარტი 2021 წ.

# განკარგულება

**სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2021 წლის 23 მარტის №06-2518 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტისაგან მოითხოვა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის შენობის მესამე სართულზე დამატებით სამუშაო სივრცის მოწყობა. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოთხოვნის შესაბამისად, მოსამართლეთა რაოდენობის ზრდიდან გამომდინარე, საჭიროა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამსახურის მიერ უზენაეს სასამართლოში დაკავებული ფართის გათავისუფლება, რის გამოც საჭირო ხდება აღნიშნული სამსახურის საერთო სასამართლოების დეპარტამენტის შენობაში განთავსებისათვის შენობის პირველი სართულის ნაწილის გადაგეგმარება-რეაბილიტაცია და ასევე აუცილებელია ჭონქაძის ქუჩა №10-ში განთავსებული სასაწყობე ფართების ნაწილობრივი კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით საჭირო საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 85 000 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის" მე-3 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ზემოაღნიშნული სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი